საქართველოს ექსპორტის დეკომპოზიცია

ეგნატე შამუგია[1]

ბოლო პერიოდში საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები გაზრდილია. ვაჭრობის გაფართოება განსაკუთრებით ექსპორტის ნაწილში ჩანს. გაზრდილი სავაჭრო პარამეტრები კი რეექსპორტს უკავშირდება - სხვა ქვეყნებს შორის საქართველოს შუამავლობით განხორციელებულ ვაჭრობას.

2022 წელს საქართველოდან რეექსპორტი 69.6%-ით გაიზარდა. მომდევნო წელს ზრდის მაჩვენებელი 74.5%-ს შეადგენდა. ამასთან, 2023 წელს ადგილობრივი ექსპორტი 24.4%-ით შემცირდა.

გრაფიკი 1: საქართველოდან საქონლის ექსპორტი (მლრდ აშშ დოლარი)

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ადგილობრივი ექსპორტის ღირებულების კლება მეტად თვალსაჩინოდ გამოვლინდა ევროკავშირთან ვაჭრობაში. ამ პერიოდში, საქართველოდან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქონლის ექსპორტი 22.3%-ით შემცირდა. შედარებისთვის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებთან ვაჭრობაში კლება მხოლოდ 3.1% იყო.

[1] კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise-ის მკვლევარი, საქართველოს უნივერსიტეტი. e-mail: e.shamugia@ug.edu.ge

გრაფიკი 2: საქართველოდან ადგილობრივი ექსპორტი, ქვეყნების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მეტიც, 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, რუსეთში საქართველოდან ადგილობრივი ექსპორტი 2.8%-ით გაიზარდა. ამ პერიოდში ექსპორტირებული საქონლის ღირებულებამ 541.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 19.4%-ია. ამ ფონზე, ადგილობრივი საქონლის ძირითადი საექსპორტო დანიშნულება ისევ რუსეთის ბაზარი გახდა.

ექსპორტში, 12.3%-იანი წილით, მეორე ადგილს თურქეთი იკავებს, სადაც გასულ წელს 343.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტი განხორციელდა, რაც, წინა წელთან შედარებით, 12.7%-ით ნაკლებია.

საქართველოს ადგილობრივ ექსპორტში ჩინურმა ბაზარმა, პანდემიის პერიოდიდან მოპოვებული პოზიცია, 2023 წელს დაკარგა. გასულ წელს ჩინეთში ექსპორტი 694.7 მლნ დოლარიდან 270 მილიონ დოლარამდე შემცირდა (ადგილობრივ ექსპორტში 9.7%).

ექსპორტის სტრუქტურა

საქართველოდან ძირითადი ადგილობრივი საექსპორტო საქონელი სპილენძის მადნები და კონცენტრატებია. 2022 წელს ექსპორტირდა 437.8 ათასი ტონა მადანი, რომლის ღირებულებამ 1 024.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მაგრამ გასულ წელს ექსპორტი განახევრდა. 2023 წელს სპილენძის მადნების ექსპორტის ოდენობამ 232 ათასი ტონა შეადგინა, რაც, საექსპორტო ფასის შემცირების პირობებში, 474.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების იყო.

სპილენძის მადნების საექსპორტო ბაზარია სულ სამი ქვეყანა: ბულგარეთი, ჩინეთი და ესპანეთი. გასულ წელს ექსპორტის კლება უკავშირდება სწორედ ჩინეთის ბაზარს, სადაც სპილენძის მადნების ექსპორტის მოცულობა 251.6 ათასი ტონიდან 97.7 ტონამდე შემცირდა.

გრაფიკი 3: საქართველოდან ადგილობრივი ექსპორტი, საქონლის მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ასეთივე კლებაა ფეროშენადნობების ექსპორტშიც. 2023 წელს 157.2 ათასი ტონა ფეროშენადნობების ექსპორტი განხორციელდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 71.5 ათასი ტონით ჩამორჩება. ამ პერიოდში ექსპორტირებული ფეროშენადნობების ღირებულება 60.1%-ით შემცირებულია.

განსხვავებული სურათია რიგით მეორე საექსპორტო საქონლის შემთხვევაში. 2023 წელს საქართველოდან „ექსპორტზე 89.4 მლნ ლიტრი ღვინო გავიდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 12.2 მლნ ლიტრით ჩამორჩება. თუმცა, საშუალო საექსპორტო ფასის მატების გამო, ექსპორტირებული ღვინის საერთო ღირებულება გაზრდილია. გასულ წელს საქართველოდან ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტმა 257.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ადგილობრივი ექსპორტის 9.2%-ია.

გრაფიკი 4: ათ უმსხვილეს საექსპორტო ქვეყანაში ლიტრი ღვინის საშუალო საექსპორტო ფასი (აშშ დოლარი)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორის გამოთვლები

ღვინის ძირითადი საექსპორტო ბაზარი რუსეთია, სადაც 2023 წელს მთლიანი ღვინის ექსპორტის 69.6% ანუ 62.3 მლნ ლიტრი ექსპორტირდა. თუმცა რუსეთში ერთ ლიტრ ღვინოზე საშუალო საექსპორტო ფასი შედარებით დაბალია. უფრო დაბალი კი პოლონეთშია, სადაც, 2023 წელს, 6 მლნ ლიტრი ღვინის ექსპორტი განხორციელდა. ექსპორტის 12.6% მომდევნო სამ ქვეყანას - უკრაინას, ჩინეთსა და ყაზახეთს უჭირავს.

რეექსპორტი

2023 წელს რეექსპორტის ზრდა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტს უკავშირდება. გასულ წელს საქართველოდან რეექსპორტირებული ავტომობილების რაოდენობამ, ჯამში, 107.9 ათასი ცალი შეადგინა. ეს კი წინა წლის მაჩვენებელს 28 ათასი ერთეულით აღემატება. ამ პერიოდში ავტომობილების უდიდესი ნაწილი - 94.5% - რეექსპორტირდა ხუთ ქვეყანაში: აზერბაიჯანში, ყაზახეთში, სომხეთში, ყირგიზეთსა და რუსეთში.

გრაფიკი 5: საქართველოდან მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი (ათასი ცალი)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მათ შორის, საქართველოდან რუსეთში მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი შედარებით მცირე, 5 ათასი ცალი იყო, მაგრამ ომამდე პერიოდის დონეს ორჯერ აღემატებოდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროპის კავშირიდან შემოყვანილი ავტომობილების საქართველოდან რუსეთში რეექსპორტი და ტრანზიტი შეზღუდულია.[2]

მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილების რეექსპორტი პირდაპირ რუსეთში არ ხორციელდება, მათი ნაწილი, საბოლოოდ, რუსულ ბაზარზე ხვდება. ეს კი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საერთო ბაზრის გავლით ხდება. კერძოდ, „საქართველოში შემოყვანილი ავტომობილი ექსპორტირდება ამ კავშირის წევრ რომელიმე ქვეყანაში, სადაც განაბაჟებენ და რუსეთში გადაჰყავთ.[3]

2023 წელს საქართველოდან ყაზახეთში 39.9 ათასი ცალი მსუბუქი ავტომობილის რეექსპორტი განხორციელდა. ომამდე პერიოდთან შედარებით, რეექსპორტირებული ავტომანქანების რაოდენობა გაზრდილია 17.5-ჯერ. მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის კიდევ უფრო მეტად, 22.4-ჯერ ზრდა დაფიქსირდა ყირგიზეთში. დაახლოებით ორჯერ გაიზარდა ავტომობილების რეექსპორტი სომხეთში.

[2] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განცხადება https://shorturl.at/hlpJ8
[3] პერტაია ლუკა. (2023, აპრილი 6). საქართველოდან სომხეთში და უკან, შემდეგ კი რუსეთისკენ - სანქციების თავიდან არიდების გზა? რადიო თავისუფლება. მოპოვებულია მარტი 8, 2024-დან https://shorturl.at/hklM7

***

რუსეთ-უკრაინის ომმა საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა თვალსაჩინოდ შეცვალა. გასულ წელს ადგილობრივი ექსპორტი შემცირდა, ხოლო რეექსპორტი გაიზარდა. რეექსპორტის მკვეთრი გაფართოება კი საქართველოდან ევრაზიული კავშირის წევრ ქვეყნებში მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის გაორმაგებას უკავშირდება. ადგილობრივი ექსპორტის კლება, თავის მხრივ, სპილენძის ექსპორტის შემცირებით არის გამოწვეული.